“მშვიდობიანად” გაშორდნენ

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 7 ივლისი.

“დინამო” (მინსკი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

მინსკი: გლუხოტკო, გირკო, არზამასცევი, რიომინი, ვორონინი, ფოკინი, ტოლეიკო (კაბერსკი), ადამოვი, ვასილიევი, მალოფეევი (ჩაუსოვი), სახაროვი.

თბილისი: ურუშაძე, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი (მაჩაიძე), მეტრეველი, გ. ნოდია (ლ. ნოდია), გავაშელი.

მსაჯი: ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 2:0 მინსკელთა სასარგებლოდ.

წინ, 11 ივლისს, მატჩია “პახტაკორთან”. ეს კარგად ახსოვთ არა მარტო მინსკელ ფეხბურთელებს, არამედ მათ გულშემატკივრებსაც. “პახტაკორი” ახლა მინსკის “დინამოს” უპირველესი მიზანია, ვინაიდან მასთან გამარჯვების შემთხვევაში პრაქტიკულად წყდება პირველ შვიდეულში მოხვედრის საკითხი. რას იზამ, ასე უხეიროდ და სათუოდ წავიდა წლეულს ბელორუსიის საუკეთესო გუნდის საქმე.

მაგრამ ტაშკენტის გუნდი ერთგვარ “განტევების ვაცს” წარმოადგენს და მასთან მატჩამდე მინსკელებს აუცილებლად სჭირდებოდათ საგარანტიო ქულების დაგროვება, გარკვეული მარაგის შექმნა, ვინაიდან “პახტაკორი” ზუსტად ამავე დღეს და ამავე დროს თამაშობდა მოსკოვში და წარმატების შემთხვევაში თვითონვე შეეძლო შეექმნა თავისთვის ანალოგიური საგარანტიო ბაზა.

ამდენად, მატჩს თბილისელ თანაკლუბელებთან მინსკის დინამოელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მასპინძელთათვის ძნელი ამოცანა იყო ქულაზე ფიქრი გუნდთან, რომელიც ახლა საუცხოო ფორმაშია და ჩემპიონობასაც უმიზნებს, მაგრამ, უნდა ითქვას, ეს სიძნელე გარკვეულ სტიმულად იქცა მინსკელთათვის და მათ ითამაშეს ისე, როგორც კარგა ხანია არ უთამაშიათ - მთელი ძალით, თავიანთი საუკეთესო წლების დონეზე.

მასპინძლებმა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა შესთავაზეს. რახან ისინი საერთო კლასში ჩამორჩებიან თბილისელებს, მისი კომპენსირება თავგანწირული თამაშით გადაწყვიტეს.

მინსკელებმა თავიდანვე არ მისცეს მეტოქეს შეტევის გაშლის საშუალება. თბილისელთა თავდამსხმელები და ნახევარმცველებიც ნამდვილი პრესინგის მარწუხებში აღმოჩნდნენ. საქმე იმაზე მიდგა, თუ ვინ უფრო დაუღალავად იმუშავებდა და მეტს ირბენდა, ამაში კი მასპინძლებმა უფრო გამოიჩინეს თავი.

ურუშაძეს და მცველებს მოსვენება არ ჰქონდათ. მართალია, სტუმრებმაც შექმნეს ძალზე სახიფათო მომენტები (მაგალითად, გავაშელს ბურთის გატანის ასპროცენტიანი შანსი მიეცა) ?? იყო ხიფათის წინაშე და თბილისელთა მეკარემაც საუკეთესოდ ითამაშა.

დაახლოებით ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. ულმობელი, შეურიგებელი ბრძოლა არ შემწყდარა არც ერთი წუთით და მხოლოდ მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას სულ ათიოდე წუთი აკლდა, საერთო სიმწვავემ მოიკლო. მინსკელები სწორად მოიქცნენ რახან ვერ შეძლეს მოპირდაპირე კარის აღება და საამისო იმედიც

დაიკარგა, მათ სასწრაფოდ გადაწყვიტეს შეენარჩუნებინათ ის, რაც ძალების ასეთი უზარმაზარი დაძაბვით იქნა მოპოვებული - ე.ი. 1 ქულა.

მ. პლეშევი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 9 ივლისი, 1969 წ.